

განმარტებითი ბარათი

„საბაჟო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზანი:

წარმოდგენილი კანონპროექტის შემუშავების აუცილებლობა განაპირობა პრაქტიკაში შექმნილმა გართულებულმა საბაჟო პროცედურებმა და მისი განხორციელების სამუშაო დროით შეზღუდულობამ.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საბაჟო პროცედურების გამარტივება და მისი განხორციელება 24 საათიან რეჟიმში;

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

1. პროექტით შემოთავაზებული მე-2 მუხლის ცვლილებით სიტყვები „ფიზიკური და იურიდიული პირები“ შეიცვალა სიტყვით „პირები“, რადგან სიტყვა „პირი“ მოიცავს გადასახადის გადამხდელის უფრო ფართო წრეს და ამასთანავე შესაბამისობაში მოვიდა საბაჟო კოდექსის მოქმედ განმარტებასთან;

2. მე-3 მუხლის ცვლილება გამომდინარეობს მე-2 მუხლის ცვლილებიდან და გულისხმობს, რომ საბაჟო მოსაკრებლის გადამხდელები არიან არა ფიზიკური და იურიდიული პირები, არამედ პირები;

3. მე-5 მუხლის ცვლილებით გასწორდა სტილისტური საკითხები და ამოღებულ იქნა მითითებების საჭიროება ერთი პუნქტიდან მეორე პუნქტზე.

ამასთან, საქართველოს საბაჟო კოდექსის 45-ე მუხლის მე-7 ნაწილი ითვალისწინებს არასამუშაო დროსა და სხვა ადგილებში საქონლის შემოტანის დროს შესაბამისი ხარჯების გაწევას დეკლარანტის მიერ, ხოლო „საბაჟო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი მოსაკრებლის ოდენობა და გადახდის მექანიზმი გათვალისწინებული არ იყო. ამ მუხლის ცვლილებით პროექტი ითვალისწინებს არასამუშაო დროს ან/და სხვა ადგილას შესაბამისი მომსახურების კომპენსაციის მიზნით საბაჟო მოსაკრებლის გაზრდილ (გასამმაგებულ) ოდენობას.

გარდა ამისა, საბაჟო კოდექსის პროექტით გათვალისწინებული 71-ე მუხლის ცვლილების შესაბამისად დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე დეკლარაციაში ცვლილების განხორციელებისას ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული საბაჟო მოსაკრებლის განაკვეთები ნახევრდება.

4. მე-5 მუხლში ხორციელდება საბაჟო მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლების ჩამონათვალში საფუძვლების დამატება, საბაჟო კოდექსის 123-ე, 132-ე და რომლებიც ეხება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას დროებით გატანილი გადაუმუშავებელი საქონლის, გადამუშავების პროდუქტის ან/და მათი მაკომპლექტებელი ნაწილების კანონით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე უკან დაბრუნების, ან საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას ამ რეჟიმში მოქცეული საქონლის ან/და მისი მაკომპლექტებელი ნაწილების გადამუშავებისათვის დროებით გატანისას კანონით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე ამ საქონლის დაბრუნების შემთხვევებს.

5. მე-7 მუხლში ცვლილებების შედეგად ამოღებულ იქნა ზოგადი მინიშნებები საბაჟო და საგადასახადო კოდექსებზე და მკაფიოდ ჩამოყალიბდა, რომ საბაჟო მოსაკრებლის ღარიცხვის საფუძველია საბაჟო დეკლარაცია.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებით ხდება მოსაკრებლის ახალი განაკვეთის შემოღება არასამუშაო დღეებში საბაჟო პროცედურების განხორციელებაზე და დეკლარაციაში ცვლილების განხორციელებისას, რაც სავარაუდოდ საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას გამოიწვევს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

პროექტი ითვალისწინებს არასამუშაო დროს ან/და სხვა ადგილას შესაბამისი მომსახურების კომპესაციის მიზნით საბაჟო მოსაკრებლის გაზრდილ (გასამმაგებულ) ოდენობას, აგრეთვე დეკლარაციაში ცვლილების განხორციელებისას განახევრებულ ოდენობას;

ბ.ვ) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტით საბაჟო მოსაკრებლის გაზრდილ (გასამმაგებულ) ოდენობის გადახდის ვალდებულება ეკისრება იმ პირებს რომლებიც არასამუშაო დროს ან/და სხვა ადგილას მოახდენენ საბაჟო პროცედურების განხორციელებას და იმ პირთათვის, რომლებიც მოთხოვენ დეკლარაციაში ცვლილების განხორციელებას

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში: ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.